# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/202 „ 18 „ სექტემბერი 2019 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის დაწყების შესახებ**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, დაიწყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურა.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანსიაზე განცხადებები ელექტრონული ფორმით მიიღება 2019 წლის 19 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით.

3. შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით და შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და ყველა ეროვნულ მაუწყებელს.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი